

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება №97
2013 წლის 26 აპრილი ქ. თბილისი**

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების
დამტკიცების შესახებ**

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს თანდართული დებულება.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის №133 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 4 მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი

ბიძინა ივანიშვილი

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. სამინისტრო ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და სახელმწიფო პოლიტიკას საქართველოს ენერგეტიკის დარგში.

3. სამინისტრო შექმნილია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

5. სამინისტროს ამოცანები, უფლებამოსილება და სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

6. სამინისტრო თავისი ერთიანი სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო კონტროლსა და სამსახურებრივ ზედამხედველობას.

7. სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

8. საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას სამინისტრო უფლებამოსილია გასწიოს სახელმწიფო წარმომადგენლობა.

9. სამინისტროს ცენტრალური აპარატი და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქმნიან სამინისტროს ერთიან სისტემას.

10. სამინისტრო არის საბიუჯეტო დაწესებულება და მისი დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. სამინისტროს აქვს დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთა ნუსხა, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით.

12. სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის მისამართია www.minenergy.gov.ge. აღნიშნული ვებგვერდი წარმოადგენს საჯარო ადგილს.

13. სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2.

მუხლი 2. სამინისტროს ძირითადი ამოცანები და საქმიანობის სფერო

1. სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას ენერგეტიკის დარგში.

2. სამინისტრო ახორციელებს ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგს, უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინაციას, შეისწავლის შესრულების მიმდინარეობას და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

3. სამინისტრო ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამისათვის აუცილებელი ქმედებების განხორციელებას.

4. სამინისტრო უზრუნველყოფს ენერგეტიკის დარგში პროექტების განხორციელებას.

5. საქართველოს ენერგეტიკის დარგის, როგორც ერთიანი კომპლექსის, განვითარებისა და მისი ცალკეული დარგების სტაბილურად ფუნქციონირების, ენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოებისა და საგანგებო მდგომარეობისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო შეიმუშავებს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

6. სახელმწიფო პოლიტიკის, სახელმწიფო სტრატეგიისა და პრიორიტეტების შესაბამისად სამინისტრო შეიმუშავებს ენერჯის წარმოების, ენერგომეცველების გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, დისტრიბუციის, მიწოდებისა და მოხმარების, აგრეთვე იმპორტ-ექსპორტის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით წინადადებებს და განხორციელების მიმართულებებს.

7. სამინისტრო ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის, ენერგოსისტემის უსაფრთხოების, მისი ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის

განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტების რეალიზაციის მიზნით მოითხოვს საბიუჯეტო დაფინანსებას და ახორციელებს დარგში სახელმწიფო ინვესტირებას.

8. სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო ან/და სხვა სუბიექტების საკუთრებაში არსებული აქციების ან/და წილების მართვას (პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი

1. სამინისტრო თავისი ფუნქციების მიხედვით:

ა) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ენერგეტიკის სფეროში;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო ინვესტირებას; იღებს გადაწყვეტილებას დერეგულირების ან ნაწილობრივი დერეგულირების თაობაზე; შეიმუშავებს საიმედოობის სტანდარტებს; ამტკიცებს ენერგეტიკის დარგში ბალანსებსა და ელექტროენერჯის სასისტემო ან/და სისტემათაშორისი ტრანზიტისათვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზების სიას; შეისწავლის სახელმწიფო პოლიტიკის, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მიმდინარეობას;

გ) ხელს უწყობს რეაბილიტაციისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ინვესტიციებისა და საკრედიტო რესურსების მოზიდვას;

დ) უზრუნველყოფს ენერგორესურსების ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნასა და კონკურენციის განვითარებას, ამ მიზნით ახორციელებს ენერგეტიკაში დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, ხელს უწყობს ენერგეტიკის დარგში საიმედოობის სტანდარტების დამკვიდრებას და ენერგეტიკის მდგრადი ფუნქციონირებისათვის დარგში სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურისა და პრივატიზაციის პროცესების ოპტიმალურად წარმართვას, ასევე შეიმუშავებს ობიექტების კონსერვაციისა და ლიკვიდაციის სტრატეგიასა და წესებს;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავებაში, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებაში და ახორციელებს მათ მიღებას (გამოცემას);

ვ) შეისწავლის ენერგეტიკის დარგში მომხდარი ავარიებისა და სხვა ტექნიკურ გაუმართაობათა მიზეზებს, რომლებსაც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა სისტემური მნიშვნელობის ავარია, და ამზადებს სათანადო დასკვნებს;

ზ) ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად ხელს უწყობს მისთვის მინდობილ სფეროებში საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებას;

თ) ხელს უწყობს საქართველოს ენერგეტიკის დარგებისა (მათ შორის, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს) და უცხო ქვეყნების ენერგეტიკულ საწარმოებს შორის კავშირურთიერთობის დამყარებას და ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგებში ტრანზიტისა და ექსპორტ-იმპორტის ურთიერთობის გაღრმავებას;

ი) ხელს უწყობს საგარეო ურთიერთობათა დამყარებას; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებსა და კერძო ინვესტორებთან თანამშრომლობის გაღრმავებას;

კ) მისთვის მინდობილ სფეროებში ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარებას;

ლ) ხელს უწყობს რესურსების მოპოვების გაფართოებას, განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის წყაროების უპირატეს ათვისებას, ენერგოეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ეფექტიანობის გაზრდასთან;

მ) მისთვის მინდობილ სფეროებში ხელს უწყობს სხვადასხვა სახის პროექტებისა და პროგრამების შემუშავებას;

ნ) ახორციელებს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფინანსური მდგომარეობისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან მისი ურთიერთობის მონიტორინგს;

ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და წარმართავს საკადრო პოლიტიკას, ხელს უწყობს კადრების შერჩევას, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შექმნას;

პ) ელექტროენერჯის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერჯის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას განსაზღვრავს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების კლასიფიკაციასა და სტატუსს, აგრეთვე ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიანტის მიერ ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის განხორციელების პირობებს;

ჟ) ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრავს ღონისძიებათა პრიორიტეტულ მიმართულებებს და ორგანიზებას უწევს მათ განხორციელებას;

რ) ახორციელებს ენერგორესურსების შიდა ბაზრის მონიტორინგს მისი გაჯერებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით;

ს) განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებს და ორგანიზებას უწევს საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებას;

ტ) თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

უ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს პრივატიზაციის პროცესის ოპტიმალურად წარმართვის ხელშეწყობას;

ფ) ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ან/და სხვა სუბიექტების საკუთრებაში არსებული აქციების ან/და წილების მართვას (პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება).

2. სამინისტროს, კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და ორგანოსაგან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ინფორმაციული, დოკუმენტური და სხვა მასალები, რომლებიც საჭიროა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების სრულფასოვანი განხორციელებისათვის;

ბ) არსებული წესის დაცვით დაამყაროს ურთიერთობა სხვა ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან; დადოს ხელშეკრულებები მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში;

გ) ბაზრის წესების შესაბამისად განახორციელოს მრიცხველებისა და აღრიცხვის კვანძების ტექნიკურ უწყისივრობათა ინსპექცია;

დ) საჯაროდ გამოცხადების მიზნით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და სხვა სახის საჯარო ინფორმაცია განათავსოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ან/და სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის მისამართზე (www.minenergy.gov.ge);

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 4. სამინისტროს ხელმძღვანელობა

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

2. მინისტრი:

ა) უზრუნველყოფს სამინისტროს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას, კოორდინაციას უწევს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას, აწესრიგებს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებისათვის;

გ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას;

დ) ამტკიცებს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა თანამდებობრივ ნომენკლატურას, საქმისწარმოების წესს, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, სამინისტროს საშტატო ნუსხას, ხარჯთა ნუსხას, აკონტროლებს მათ შესრულებას და აუცილებლობის შემთხვევაში იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებას სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებისა და აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი ბიუჯეტის პროექტის თაობაზე, იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზნობრივად შესრულებისათვის;

ზ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;

თ) მონაწილეობს საქართველოს მთავრობის სხდომებში;

ო) წარმოადგენს სამინისტროს ინტერესებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. ხელს აწერს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, კონტრაქტებს, ანიჭებს სამინისტროს წარმომადგენლობას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

კ) კომპეტენციის ფარგლებში პასუხს აგებს საქართველოს მთავრობის წინაშე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის;

ლ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას, აგრეთვე ახორციელებს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით. ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლს. მინისტრს უფლება აქვს, სამინისტროს თანამდებობის პირთა მოქმედების სამსახურებრივი ზედამხედველობა დააკისროს თავის პირველ მოადგილეს;

მ) ძალადაკარგულად ცნობს პირველი მოადგილის, მოადგილეების, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელთა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე მინისტრის ბრძანებებს;

ნ) უფლებამოსილია აგრეთვე ძალადაკარგულად ცნოს ამ პუნქტის „მ“ ქვეპუნქტში მითითებულ ხელმძღვანელთა აქტები მიზანშეუწონლობის მოტივით;

ო) დადგენილი წესით აკეთებს წარდგინებებს საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მისანიჭებლად;

პ) კანონით განსაზღვრული წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ბრძანებებს, ზედამხედველობს მათ შესრულებას;

ჟ) ამტკიცებს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულებას;

რ) ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს;

ს) წყვეტს სამართლებრივ დავებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის;

ტ) პასუხს აგებს სახელმწიფო ქონების დაცვისა და გამოყენებისათვის, ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

უ) სამინისტროსათვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების, მათ შორის, სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით გამოსცემს ბრძანებას;

ფ) ასრულებს მისთვის კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

3. მინისტრს ჰყავს ოთხი მოადგილე, მათ შორის, ერთი – პირველი.

4. მინისტრის არყოფნისას მის უფლებამოსილებებს ახორციელებს მინისტრის პირველი მოადგილე.

5. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს შორის მოვალეობების განაწილება ხდება მინისტრის ბრძანებით. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

6. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე იმავდროულად შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსი. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე იმავდროულად შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე ან მოადგილე.

7. მინისტრს ჰყავს მრჩეველები, რომელთა ფუნქციები განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. მინისტრის სათათბირო ორგანოები

1. მინისტრს შეუძლია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებით და განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი.

2. სათათბირო ორგანო იქმნება სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვადასხვა საკითხის მოსამზადებლად და შესასწავლად. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს სათათბირო ორგანოს შექმნისას განსაზღვრავს მინისტრი.

3. სათათბირო ორგანო იქმნება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება მისი ამოცანები, თავმჯდომარე (საჭიროების შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე) და წევრები, ამოცანის შესრულების ვადა და მომსახურე სტრუქტურული ქვედანაყოფი.

4. სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს სხვა სამთავრობო დაწესებულების მოსამსახურე ამ დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობით. მის მუშაობაში შეიძლება თავიანთი თანხმობით ჩაბმულ იქნენ პირები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები.

5. სათათბირო ორგანოს საქმიანობასა და მის სხდომაზე საოქმო წარმოებას უზრუნველყოფს სათათბირო ორგანოს მომსახურე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

6. სათათბირო ორგანო უფლებამოსილია დასახულ ამოცანათა შესასრულებლად გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები.

7. სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე.

მუხლი 6. სამინისტროს სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ფუნქციები

1. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) მინისტრის აპარატი;
- ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- დ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
- ე) საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტი;
- ვ) ენერგეტიკული დეპარტამენტი;
- ზ) იურიდიული დეპარტამენტი;
- თ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;
- ი) ანალიტიკური დეპარტამენტი.

2. სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო.

3. მინისტრის აპარატის ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, მინისტრის და მინისტრის მოადგილეების შეხვედრების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა და საინფორმაციო მომსახურების გაწევა;

ბ) მინისტრის სათათბირო სხდომებისა და სამინისტროში გამართული თათბირების ორგანიზაცია დადგენილი წესით;

გ) მინისტრთან მოქალაქეთა შეხვედრების კოორდინაცია;

დ) მინისტრის სახელზე მიღებული ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავება და მისი დროულად მიწოდება სამინისტროს ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთათვის;

ე) მინისტრის დავალებით ცალკეული საკითხების სამინისტროს თანამშრომლებთან შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან მინისტრის ურთიერთობის კოორდინაცია;

ზ) მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების საჯარო გამოსვლებისა და კონფერენციებისათვის მოხსენებებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიტიკური მასალების მომზადება და კოორდინაცია;

თ) მინისტრისა და მინისტრის მოადგილეებისათვის საპროტოკოლო ღონისძიებების გატარება, კერძოდ, უცხო ქვეყნის ოფიციალური დელეგაციების საქართველოში ვიზიტების მომზადებაში მონაწილეობა, ვიზიტების პროგრამის შედგენა და ორგანიზება;

ი) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისა (ელჩების) და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრების ორგანიზება მინისტრთან და მინისტრის მოადგილეებთან;

კ) საზღვარგარეთის ქვეყნებში მინისტრისა და მინისტრის თანმხლები დელეგაციის წევრების ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების ორგანიზება (მათ შორის, განთავსება, ტრანსპორტირება);

ლ) კანონმდებლობით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი პასპორტებით უზრუნველყოფა და მათი სავიზო მომსახურების ორგანიზება;

მ) მინისტრის სხვა დავალებათა შესრულება.

4. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინებების, განცხადებებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება;

ბ) სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ საზოგადოების ინფორმირება;

გ) სამინისტროს საქმიანობის შესახებ პრესის მიმოხილვის გავრცელება;

დ) პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების გამართვის უზრუნველყოფა;

ე) სამინისტროს ღონისძიებების ფოტო- და ვიდეოგადაღება;

ვ) სამინისტროს ვებგვერდზე ინფორმაციის პერიოდული განახლება;

ზ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება;

თ) საზოგადოებასთან ურთიერთობის მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება;

ი) სამინისტროს საქმიანობის შესახებ მასმედიით გაშუქებული მასალების მონიტორინგის განხორციელება;

კ) სამინისტროს საქმიანობის შესახებ რეკლამების, საგაზეთო სტატიებისა და ვიდეორგოლების მომზადებაში მონაწილეობა;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინტერვიუების, ბრიფინგების, პრესკონფერენციებისა და საჯარო შეხვედრების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მონაწილეობა;

მ) მინისტრის მოხსენებების, საჯარო გამოსვლებისა და ანგარიშების მომზადება და ორგანიზება;

ნ) მინისტრის უშუალო ორგანიზაციული, საინფორმაციო-ანალიტიკური მომსახურება;

ო) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

პ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მინისტრის შეხვედრების, თათბირების, სამინისტროში ზეპირი მოსმენების, პრესკონფერენციებისა და პრეზენტაციების ორგანიზება;

ჟ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მინისტრისა და სამინისტროს ურთიერთობების უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;

რ) მინისტრის სხვა დავალებათა შესრულება.

5. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამინისტროს სისტემის ეკონომიკური, ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია და მართვა;

ბ) საფინანსო-ეკონომიკური, სამეურნეო და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და ხარჯთა ნუსხის შედგენა;

გ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში დაფინანსების სახელმწიფო და საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მისი ხელშეწყობა;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს მიერ დადებულ ხელშეკრულებათა განხორციელების მონიტორინგი;

ე) სამინისტროს სისტემაში განსაზღვრულ მიმართულებათა შესაბამისად, საბიუჯეტო პროცესების ორგანიზება, საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა და მათ ბაზაზე ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და ანალიზი;

ვ) სამინისტროს ფუნქციონირების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. მათ შორის, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნა, კაპიტალური მშენებლობის, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჭიროებისათვის სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება და ამ მიზნით შესაბამისი პროექტებისა და წინადადებების შემუშავება;

ზ) სამინისტროს ერთიანი ინფორმაციული ბაზის შექმნა და მისი მუდმივი განახლება, სამინისტროს აპარატის შიდა კომპიუტერული ქსელის გამართული მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა, აგრეთვე სამინისტროს მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივი აქტებისა და სხვადასხვა ინფორმაციის შიდა კომპიუტერულ ქსელში განთავსება;

თ) საჭიროების შემთხვევაში სადღეღამისო მორიგეობის უზრუნველყოფა;

ი) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უზრუნველყოფა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და მონიტორინგი (მათ შორის, ფინანსური) თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

კ) სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობის ანალიზი, სათანადო წინადადებების შემუშავება;

ლ) საქართველოს მთავრობისა და სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარსადგენი ანგარიშების პროექტების მომზადება;

მ) მინისტრისა და მისი მოადგილეების სხვა დავალებათა შესრულება.

6. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამინისტროს მხრიდან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია;

ბ) ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელების კოორდინაცია (სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში);

გ) სხვა სახელმწიფოების ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია;

დ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადება, მოლაპარაკებაში მონაწილეობა, დასკვნების მომზადება, ხელშეკრულების ხელმოწერისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოქმედებათა კოორდინაცია;

ე) მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების სხვა დავალებათა შესრულება.

7. საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და ამ მიმართულებით სხვადასხვა ორგანიზაციებთან სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია;

ბ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილ საინვესტიციო პროექტებში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონაწილეობისა და საერთაშორისო ინვესტორებთან ურთიერთობების კოორდინაცია;

გ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში მიმზიდველი საინვესტიციო წინადადებების შემუშავება და ინვესტორებისათვის წარდგენა;

დ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში საინვესტიციო წინადადებების შესახებ მიღებული ინფორმაციისა და წარდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით მიმდინარე პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საინვესტიციო პროექტებისა და დადებული საინვესტიციო შეთანხმებების მონიტორინგი, მათი განხორციელების ხელშეწყობა;

ზ) მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების სხვა დავალებათა შესრულება.

8. ენერგეტიკული დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

ბ) მინისტრის დავალების შესაბამისად საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების მონიტორინგი;

გ) ენერგეტიკული ბალანსების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

დ) ენერგეტიკის სფეროში მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ე) ენერგეტიკის დარგში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება;

ვ) ენერგომეცველების ექსპორტ-იმპორტის მოცულობათა მონიტორინგი;

ზ) ენერგოსექტორის ეფექტიანი ფუნქციონირების შესახებ რეკომენდაციების მომზადება;

თ) ენერგეტიკის სფეროში სამეცნიერო, კვლევით და საპროექტო მიმართულებათა განვითარების ხელშეწყობა და კოორდინაცია, პროგრამების შედგენისას ეკოლოგიური მოთხოვნებისა და ენერგოდაზოგველი პოლიტიკის ოპტიმალურად გათვალისწინება;

ი) განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის წყაროების უპირატესი ათვისების და ენერგოეფექტურ ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა;

კ) სუფთა განვითარების მექანიზმის პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

ლ) საქართველოს ენერგოსექტორის სუბიექტებსა და სხვა ქვეყნების ენერგეტიკულ საწარმოებს შორის კავშირურთიერთობის დამყარების ხელშეწყობა;

მ) ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობისათვის ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;

ნ) მეზობელ ქვეყნებთან ენერგეტიკული ურთიერთობის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ოპტიმალურ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი რეალიზაციის კოორდინაცია;

ო) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურისა და პრივატიზაციის პროცესის ოპტიმალურად წარმართვის ხელშეწყობა;

პ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებში მონაწილეობა;

რ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადებული შეთანხმებების მონიტორინგი და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

ს) მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების სხვა დავალებათა შესრულება.

9. იურიდიული დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;

ბ) სამინისტროს მოქმედების სფეროში სამართლებრივი ბაზის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

გ) საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, საქართველოს მთავრობასა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან სამართლებრივი ურთიერთობის კოორდინაცია;

დ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ხელშეკრულებათა პროექტების მომზადება და სამართლებრივი ექსპერტიზა;

ე) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ინვესტორებსა და დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკების წარმოებაში მონაწილეობა და მათთან სამართლებრივი თანამშრომლობა;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოსა და არბიტრაჟში;

ზ) სამინისტროს, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების და სისტემაში შემავალი ორგანოების სამართლებრივი უზრუნველყოფა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

თ) მოქალაქეთა მიღების კოორდინაცია და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ი) სამინისტროს მოხელეთა და მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების ბრძანებათა პროექტების მომზადება;

კ) სამინისტროს სისტემის მოხელეთა და მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება;

ლ) მოხელეთა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ორგანიზება, ატესტაციის მოწყობა, სტაჟირებისა და შრომის დისციპლინის კონტროლი;

მ) სამინისტროში ოფიციალურად შესული და სამინისტროდან გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია, სისტემატიზაცია და მისი დროულად მიწოდება სამინისტროს ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთათვის, სამინისტროს მიერ მიღებულ საკონტროლო დავალებათა შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა;

ნ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა;

ო) სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმისწარმოების ორგანიზება, სამინისტროს საჯარო მოხელეთა მიერ ადმინისტრაციული წარმოებისა და დავალებების სათანადოდ შესრულების კონტროლი;

პ) მინისტრისა და მისი მოადგილეების სხვა დავალებათა შესრულება.

10. შიდა აუდიტის დეპარტამენტის ფუნქციები:

ა) სამინისტროს წინაშე არსებული რისკების დადგენა და შეფასება და მათ სამართავად სათანადო ზომების მიღება;

ბ) სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ნორმატიული აქტების განუხრელი შესრულებისა და დაცვის უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების შემოწმება;

დ) სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული

პროცედურების კანონიერების შესწავლა და ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების სათანადოდ შესრულების შემოწმება;

ე) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

ვ) სამინისტროს სისტემის ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;

ზ) სამინისტროს ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

თ) სამინისტროს სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება, ასევე მოსალოდნელი დარღვევების ან/და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია ან/და მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი, წინასწარი ღონისძიებების განხორციელება უფლებამოსილების ფარგლებში;

ი) სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და დაწესებულების ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

კ) სამინისტროს მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

ლ) სამინისტროს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, კანონიერების დაცვის სფეროში საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა საქმიანობები და მიზნები, რომლებიც გამომდინარეობს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

11. ანალიტიკური დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამინისტროს სისტემაში სტატისტიკური და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება;

ბ) სამინისტროს საქმიანობის შესწავლა, მიღებული მონაცემების ანალიზისა და განზოგადების შედეგად სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების მომზადება და წინადადებების შემუშავება სამინისტროს საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა ოპტიმიზაციის მიზნით;

გ) **ამოღებულია (3.04.2015 N148)**

დ) სამინისტროს მოქმედების სფეროში მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტების, აგრეთვე მათზე დაფუძნებული სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და მათი განხორციელების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

- ე) სამინისტროს მოქმედების სფეროში სახელმწიფო და სხვა სუბიექტების საკუთრებაში არსებული აქციების ან/და წილების მართვა (პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება) კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ვ) მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების სხვა დავალებათა შესრულება.

მუხლი 7. სამინისტროს სიმბოლიკა

1. სამინისტროს აქვს მრგვალი 50 მილიმეტრი დიამეტრის ბეჭედი, რომლის ცენტრშიც გამოსახულია სახელმწიფო გერბი. ცენტრის გარშემო განთავსებულია წარწერა – „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო“, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. სამინისტრო გამოიყენებს სახელმწიფო დროშასა და გერბს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. სამინისტროს შეიძლება ჰქონდეს ლოგო.

მუხლი 8. სამინისტროს ლიკვიდაცია

სამინისტროს ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.